ახალი ჩემპიონები.

ნახ. ჯ. ლოლუასი

№ 18 (1220) თბილისი სექტემბერი 1965

# ლიანდაგი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძღოლები



„ვინცავინ კაცნი ღვინოს რად სმენ, რომე ყოველი ავი სიმთვრალეს მოაქვსო?“

**სულხან-საბა ორბელიანი.**

„ხილბოსტანვაჭრობის“ ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა გიორგი აღაბალოვმა გარაჟის წინ დააყენა საბარგო ავტომანქანა „გაზ-51, გრე-22-74“. დაიმედებული, რომ საბარგო მანქანას არავინ მოიპარავდა, ექსპედიტორ ჯანიაშვილის სახლში შევიდა. იმავე გარაჟის დარაჯმა მარტინ ასატუროვმა იწყინა, მანქანა უქმად რატომ დგასო, საჩქაროდ ჩასხა შიგ მგზავრები, მიუჯდა საჭეს და გააქანა თბილისის ზღვისაკენ. ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მგზავრები — ანტონიანი, პეჩორსკი, გრიგორიანი, პეჩორსკაია და გ. ასატუროვი აღფრთოვანებულნი შეხვდნენ ახალი მძღოლის გამოჩენას თუ ყვიროდნენ: „გააჩერე, გააჩერეო“. ფაქტი ისაა, მარტინს დაავიწყდა მართვის მარტივი წესი, რომ მთაზე პირდაპირ, მოუხვევლად, ასვლა არ შეიძლება. „მოუხვიე მაინცაო“,—ამას კი ეხვეწებოდნენ შეშინებული მგზავრები. „მიხვეულ-მოხვეული მე არც ლაპარაკი მიყვარს და არც საქმეო“, — იწყინა ბიჭმა და მახათივით დაარჭო ავტომანქანა მახათას გორას...

**(ზედა ფოტო)**

* * *

საჭის ხამი როდია ისაკ ხაიმაშვილი, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო. ასე მოუვიდა ისაკსაც. ერთ არამშვენიერ დღეს, სოფელ ბაგებიდან, ბაგეზე ღიმილით გამოაქროლა „მოსკვიჩი“ 407 გრფ 31-65“. ჭავჭავაძის პროსპექტზე რომ გამოვიდა, გაახსენდა ილიას სიტყვები: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“ ძალ-ღონე მოიკრიბა, სიჩქარეს მოუმატა, მოძრაობის წესები დაარღვია და ელექტრობოძს დაეჯახა. ელექტრობოძი გადარჩა, მაგრამ „მოსკვიჩზე“ დატოვა წარუშლელი კვალი.

ასეა, როცა ბოძები „თავის ადგილზე“ არ დგანან!

* * *

...თვე იყო თებერვალი, წელი 1965, საათი 19,45. ტაქსი იყო „ვოლგა“—21, გრა 98--10“, მძღოლი იყო გ. კარაპეტიანი. კახეთის გზატკეცილი იყო ლარივით სწორი. კარაპეტიანი იყო მთვრალი — გზის მარცხენა მხარე მარჯვენად ეჩვენებოდა და საბარგო ავტომანქანა—თივის ზვინად...

ჰოდა, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. კარაპეტიანის „გიჟურსა ქროლვას“ ლოგიკური წერტილი დაესვა.

**(ქვედა ფოტო)**

* * *

კარგად რომ შეჭიკჭიკდა გუგული მარტაშვილი, მიუჯდა საკუთარი „ვოლგის“ (21. გრფ 38-09) საჭეს და გააჭენ-გამოაჭენა რუსთაველის პროსპექტზე. კაფე „მეტროს“ წინ, № 10 მარშრუტი ტროლეიბუსის მძღოლმა შეამჩნია საჭეზე და თავზე ხელაღებული მარტაშვილი და გააჩერა ტროლეიბუსი, ავარია რომ არ მომხდარიყო. ეს იწყინა გუგულიმ და გაჩერებულ ტროლეიბუსს დაეჯახა...

**ირ. ჩოფიკაშვილი**



ნახ. გ. ლომიძისა

სად არის ძაღლის თავი დამარხული?

# შეიძინეთ გული!

ძვირფასო ამხანაგებო! ალბათ, დამეთანხმებით, რომ ადამიანის გული ზოგჯერ „თბილვაჭრობის“ რძესავით ამღვრეულია, ზოგჯერ კაფე „ცისკრის“ ყავასავით ცივი, ხან ჩემი ქუჩის ასფალტივით აყრილი და ხანაც ზღვისპირა აგარაკივით ცხელი.

ბევრს, ძალიან ბევრს გვაქვს კეთილი გული.

ბევრს, ძალიან ბევრს გვსურს, უფრო კეთილი გული გვქონდეს და, აი, მეცნიერებამ გაითვალისწინა ჩვენი სურვილი და ცოლისძმასავით ამოგვიდგა მხარში. დღეს ტექნიკა ბრინდოზავრის ნაბიჯებით მიდის წინ. სულ მალე, საკომისიო მაღაზიების დახლქვეშ, დაიმალება გულების პირველი პარტია, ხოლო დახლთან, დაახლოებით, ასეთი დიალოგი გაიმართება:

— მომეცით იტალიური გული!

— ქალო, შენ „პლაშჩი“ ხომ არ გგონია გული, იტალიურს რომ მთხოვ! ქუთაისის გაწოშვება გვაქვს კარგი, ქართული გული, თუ გინდა, გამოგიწერ!

— ქართულ გულს ვინღა ატარებს ახლა, დამცინი?

— მე მომეცით ორი გული, მნიშვნელობა არა აქვს, სადური იქნება!

— ორი გული რად გინდა, ესეც წინდა ხომ არ არის?

— მაინც ორგულს მეძახის ქმარი და!..— ისმის ცრემლნარევი ხმა.

— მე ისეთი გული მომეცით, არც ყბაგასიებული პაციენტის ღმუილი მოქმედებდეს მასზე და არც კუჭატკივებულის მანჭვაგრეხა.

— ასეთი გული შენ უკვე გაქვს და ახლა სხვას აცალე! — უყვირიან რიგში მდგომ ექიმს.

— მე გული არ მინდა, რედაქტორს მიეცით, გულის ანგარიშში სული დამიმატეთ!— მოითხოვს პოეტი.

ერთი სიტყვით, რა გამოლევს მყიდველს. ისინი იქნებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ჩვენი მრეწველობა გაითვალისწინებს მათს მოთხოვნილებას და გამოუშვებს ფართო ასორტიმენტის გულებს. როგორც წესი, გამოვა მხოლოდ პლასტმასის გულები, რადგან რკინისა და ქვის გული დღესაც საკმარისად გვხვდება და მათი დამატებით გამოშვება მიზანშეწონილი არ არის. პირველ ხანებში, შედარებისათვის, დამზადდება ცივი და ამპარტავანი გულიც, მაგრამ, მხოლოდ პირველ ხანებში და ისიც შედარებისათვის შემდგომში ქარხნები მხოლოდ თბილი გულების დამზადებაზე გადავლენ.

შორს არ არის ის დრო, როცა რედაქტორის კარებზე გაჩნდება ასეთი წარწერა: „ავტორების საყურადღებოდ! ვისაც დიდი გული გაქვთ, ჩაბარეთ მდივანს. რედაქტორთან დიდი გულით შესვლა აკრძალულია!“

გასაგებია, რომ ყოველ აღმოჩენას, ყოველ სიახლეს, თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია. მაინც რა ნაკლოვანებები ექნება ამ სიახლეს? ჯერ ერთი, საჭირო გახდება ყველა სახის ლექსიკონის ხელახალი გამოცემა, რადგან, ამჟამად, იგი უგულოდაა შედგენილი; მეორეც, დავკარგავთ შესანიშნავ გამოთქმას: „ჩემი გული ვჭამე“, რადგან პლასტმასა, ჯერჯერობით, საჭმელად არ ვარგა. მესამეც, ვედარ ვიმღერებთ: „გულიიი, მაჩუქე გულიი, რა კარგი ხარ, გოგონიიი“ ასეთი ძვირი საშოვნელი აღარ იქნება გული და ასე სახვეწრადაც აღარ გვექნება საქმე.

„შენ გაგისკდა ეგ გული!“ — საშიში აღარ იქნება ასეთი წყევლა. დროთა განმავლობაში, ადამიანის ყველა დასაბრმავებელი, მოსატეხი, ჩასასკდომი და გასახმობი ნაწილი ხელოვნური იქნება და ყოველგვარი წყევლა ძალას დაკარგავს. აქედან გამომდინარე, რძალ-მულ-სიდედრ-დედამთილები დამუნჯდებიან და იდეალური სიწყნარე გამეფდება დედამიწაზე.

**გ. მახვილაძე**

— წარმოგიდგენია? სამგზოფსიანი ოპერის ბილეთში მანეთი გადამახდევინეს!

### ტაგილ-მწარე

მეგობარმა დამპატიჟა:
„გიწვევ მთელი გულითაო,
ვერ გავმძღარვარ, კარგად იცი,
შენი სიყვარულითაო“.

მიველ, ვნახე. დამხვდა მართლაც
ჭეიფით და ლხინითაო,
დაშაქრული ენითა და
შაქრიანი ღვინითაო.

**თოთია ფიკლაური,**
**წითელწყაროს რ-ნი, სოფ. ზემოქედი.**

### ახლა შენთვისაც მოვიცლი!

ახლა შენთვისაც მოვიცლი
და ლექსსაც გეტყვი, გახაო:
ეგრე რამ გაგასაპყარა,
ეგრე რამ დაგაგლახაო?

ჭამისთვის დაღებული გაქვს
ბაუბაკი დევის ხახაო,
შრომაში გაოფლილი კი
ჭერაც ვერავინ გნახაო.

კიდევ კარგი, რომ შენებრი,
სოფლად არა გვყავს ბევრია,
ატირდებოდა მოყვარე,
გაიხარებდა მტერია.

### დაგვეუმძრახა რადიო

არ ვიცი, რა დავუშავეთ,
დაგვეუმძრახა რადიო,
რაც უკვე ხმას აღარა გვცემს.
გავიდა წელიწადიო.

ნეტავ, რა უნდა ვიღონოთ,
რომ შეგვირიგდეს რადიო?
— შერიგებისთვის მონტიორს
ჯიბეში უნდა ნაღდიო.

**თედო ჭინჭარაული,**
**სიღნაღის რ-ნი, სოფ. არხილოს კალო**

შეკრიბა **გ. ბერიაშვილმა**

— რაა, კაცო, ცალ ფეხზე კალოში?!

— რადიომ გამოაცხადა, ალაგ-ალაგ წვიმაო...

## ასე ვართ დაკარგულები

ვამაყობ სიდედრ-სიმამრით,
ცოლისდებით და ქვისლებით,
ყველა ქალაქში დასახლდა,
ყველა კარგად მყავს, ღვთის ნებით.

ვინ მეფუტკრეა, ვინ კიდევ
მებაღე-მევენახეა.
ქალაქს რა? თორემ სოფლისთვის
ყველა საჭირო ხალხია.
არა, სოფელიც კი ახსოვთ, —
და ეს ხუმრობა როდია, —
სართვლოდ და საფელამუშოდ
ყოველ წელიწადს მოდიან.
აიყრებიან სკასავით,
მორბის დიდი და პატარა,
რაც მოსავალი მომივა,
სულ ქალაქში სურთ გატანა.
ხან ავტოსადგურს ვეწვევი,
ხან ვარ რკინიგზის ბაქანზე,
ხანაც თვითმფრინავს დავხვდები,
სიდედრს ცაში ვცნობ ქაქანზე.
მოდიან ცარიელები,
მიდიან დაბარგულები,
წავლენ და შემოდგომამდე
ასე ვართ დაკარგულები.

**გრ. ჩიქვილაძე**

# ო�ა ვართხა ფარეულებს

შაქრის ქარხნის დირექტორად
ვირთხა დააწინაურეს.
ამ ამბავმა, რა თქმა უნდა,
ფრთა შეასხა შინაურებს!

თაგვი: ძმაო, მე კი ვუძლებ
გაჩენიდან წყეულ შიმშილს,
მაგრამ, მარტო დავთრების ღრღნით
ვერ გავაძღებ შენს ცხრა
დისშვილს!

ვირთხა: ვინ მყავს შენზე
ახლოს?
მოიფიქრე და თუ გაწყობს,
ჩემი თავი გენაცვალოს, —
ჩაგაბარებ მთავარ საწყობს!

თაგუნია: დავიღალე
სამსახურის ძებნით გუშინ,
ვინ მაღირსა? მე ხომ სამჯერ
გახლდი წყეულ სათაგურში?

ვირთხა: შენთვის ქარხნის
დაცვის
უფროსობა მომიცია;
ორივე ხელს დაგაფარებ,
თუ დაგეცა კომისია.

თრითინა: შენ კარგად იცი,
ბაღი მარჩენს, ერთი ციცქნა,
მაგრამ, თქვი, რა თავში ვიხლი
ზამთარ-ზაფხულ მიწის ჩიჩქნას?!

ვირთხა: ჩემო კარგო თრითინ,
ჯერჯერობით, არ მაქვს სხვა გზა:
ასამდე ხომ კარგად ითვლი?
ჩაიბარე ჭარხლის ბაზა!..

ვისაც სტაჟი ჰქონდა ძველი,
ან წაიქცა, ან გაიქცა
და ქარხანა ძმა-ბიჭების
სათარეშოდ გადაიქცა.

საჩივარმაც, როგორც წესი,
ვირთხასავით მოიმატა,
რევიზიის მოსაწყობად
ემზადება შავი კატა.

ქიშვარდ ისაკაძე

**ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს რედაქციას ეწვია სსრ კავშირში სტუმრად მყოფი პოპულარული თურქი მწერალი-იუმორისტი აზიზ ნესინი, რომელმაც ქართველი მკითხველებისათვის დაგვიტოვა პატარა მოთხრობა.**

**აზიზ ნესინი**

წერტილი, ტირე, ტირე, წერტილი, ტირე, წერტილი...

ასეთი ნიშნები მოდიოდა ბარჟა „უნქაფანიდან“. უახლოესი ნავსადგურის უფროსი რადისტი მორზეს ანბანით ბარჟა „უნქაფანს“ ეკითხებოდა:

— რა მოხდა?

პასუხი კვლავ მოკლე იყო:

— გემი ლოკოკინებმა დაიპყრეს, საშიშროება დიდია!

ეს ცნობა რამდენიმე წუთში მოედო ზღვაში გასულ ყველა გემს. რადიოები, აპარატები შეუჩერებლივ გადასცემდნენ:

— „უნქაფანი“ ლოკოკინებმა დაიპყრეს!

ბარჟა „უნქაფანმა“ სტამბოლის ნავსადგურიდან ხუთი ტონა ლოკოკინა გაიტანა. ლოკოკინებით სავსე სუნდუკები ბარჟის საწყობებში დაალაგეს. იგი საფრანგეთში მიჰქონდათ. ბარჟამ სხვა ბარგიც ბლომად მიიღო და გზას გაუდგა. მგზავრობის მეორე ღამე იყო. კაპიტანს მშვიდად ეძინა კაიუტაში. უცებ იგრძნო, რომ მის სახეზე რაღაც დასეირნობდა და სველ კვალს სტოვებდა.

ხელი შეახო, რბილი სხეული იყო... და განა ერთი? ბევრი! კაპიტანი ყვირილით გავარდა კაიუტიდან და, სადაც კი ფეხს დაადგამდა, ყველგან ლოკოკინებს სრესდა.

ყველა, ვინც გემზე იყო, შიშმა აიტანა. გემს რომ ბირი გახვრეტოდა და წყალს ამოეხეთქა, ასე არ შეეშინდებოდათ.

მეზღვაურებმა ცოცხებს წაავლეს ხელი და ლოკოკინებს ზღვაში გადაუტახეს, მაგრამ ერთის ადგილზე ოთხი იყრიდა თავს.

კაპიტანმა ბრძანება გასცა:

— გვაჩვენეთ, რაზე უთანხმდებოდა ეს ბანდა!

— რას მიბრძანებთ?

— სულ ერთია, რაც უნდა იყოს, ნამგზავრები ვართ. ყველაზე კარგი რაც გაქვთ, მოგვიტანეთ!

კარგად რომ შენაყრდნენ, შტურმანმა თქვა:

— წვნიანი მშვენიერი იყო!

— ჩიხირთმაზე რას იტყვით?

— მოხარშული ხორცი ყველაფერს ჯობდა! — თქვა კაპიტანმა.

# ჯერ ლოკოკინებმა დაიპყრეს გემი!...

— სასწრაფოდ მოითხოვეთ დახმარება!

რადისტი მიუახლოვდა მიკროფონს, რომელიც ლოკოკინებს დაეფარათ. ფეხით მიმოფანტა ისინი და გადამცემი ჩართო:

„Sos, Sos, Sos! — გემი დაიპყრეს ლოკოკინებმა!“

ამ ბრძოლაში გემმა მარსელს მიაღწია.

მეტი გზა არ იყო, გემი რაიმე წამლით, თუნდაც შხამიანი გაზით, უნდა გაეწმინდათ. კაპიტანი, მისი თანაშემწე, მემანქანე და რამდენიმე მეზღვაური ხმელეთზე გადმოვიდნენ და ოტელისაკენ გამართნენ. როგორც კი ოტელში შევიდნენ, ტანსაცმელი გაიხადეს. ლოკოკინები ჯიბეებიდანაც ცვიოდა. უპირველესად, იბანავეს. ტანსაცმელს ლოკოკინების ვერცხლისფერი კვალი ზოლებად დაჰყვებოდა. ორი დღე-ღამის უშმელ-უსმელები რესტორანში ჩავიდნენ და მაგიდებს მიუსხდნენ.

— ხბოს ხორცი!

— არა, ეს ხბო არ არის, ბატკანია.

— მე თუ მკითხავთ, თევზია.

— რაღაც არა მგონია. ეი, გარსონ, აბა, მოგვხედე!

— გისმენთ!

— ჩიხირთმა რისგანაა გაკეთებული?

— თქვენ რომ მოგეწონათ, მუსიე? ახლახან თურქეთიდან ლოკოკინებით დატვირთული გემი ჩამოვიდა და...

— რაო?

— სალათა რისაა?

— ლოკოკინისა.

— ხაშლამა? ხაშლამა რისაა?

— ლოკოკინისა, მუსიე!

— წვნიანი? — იყვირეს მეზღვაურებმა.

— ჩვენი შეფი ხარჯებს არ ერიდება, წვნიანიც ლოკოკინისაა!

**თურქულიდან თარგმნა**
**გ. გათიაშვილმა**



ქართულ ფუტკარს ბუქარესტში მეფუტკრეობის პირველი საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის ოქროს მედალი მიენიჭა.

ნახ. ა. კანდელაკისა

— საით მიგეჩქარებათ?
— სპორტის სასახლეში, შეხვედრას გვიწყობენ!

ნახ. ვ. ჭუმბურიძისა

— არ მომიპარავს, მიპოვნია. ახლა ჩემი-ა-ა-ა!..

— სხვა რამე იმღერე, ახლაც გამომძიებელთან ხომ არა ხარ?!

## ქუთაისის დროშა

ტელეფონის ზარის ხმამ საწოლიდან წამომაგდო.

— მეგობარო, თუ შეიძლება, მძღოლი რომა რომაა, თქვენი კარის მეზობელი, თხოვეთ ტელეფონთან!

— რა დროს რომაა, კაცო, ამ შუაღამისას?!

— გადაუდ-გადმოუდებელი საქმე გვაქვს, თუ ძმა ხარ!

პიჯაკს ვიღებ და კბილების მონოტონური ძაგძაგით ქუჩის მეორე მხარეს მცხოვრები „კარის მეზობლის“ სახლისკენ მივიპარები. დაკაკუნებისთანავე, კარი შექეიფიანებულმა მასპინძელმა გამიღო და ღიღინით გამომყვა.

— რომელი ხარ? რამ მოგაგონა, ბიჭო, ჩემი თავი? ოხ, შენი! კარგი, ჩემზე იყოს! — გამეტებით დაადო ყურმილი და მითხრა:

— ამხანაგმა იანგლა. ალბათ, იფიქრა ცოტას გავაწვალებო. კიდევ კარგი, დაწოლილი არ ვიყავი, თორემ ამ შუაღამისას ადგომა არ გინდოდა? ეგ არაფერი, იმის მეზობელსაც აქვს ტელეფონი. ახლა პირველი საათია. არა, მე აქედან ორზე დავურეკავ. ჯერჯერობით, ერთით ნოლია იმის სასარგებლოდ! — მხარზე ხელი დამკრა, ჩაიხითხითა და ღამის 2 საათამდე ღამემშვიდობისა მისურვა.

ღამის ორ საათზე ანგარიში გათანაბრდა. დაინიშნა დამატებითი დრო, მაგრამ, ზუსტად ღამის სამ საათზე, ჩემი „კარის მეზობელი“ უხეშობისათვის ოჯახიდან კინწისკვრით იქნა გაძევებული.

შ. შადრენიშვილი

## ფრიალა ამსტანგი

ტროლეიბუსში ამოსული ქალის დანახვისთანავე ახალგაზრდები ფეხზე წამოიჭრნენ, ადგილი დაუთმეს და მოწიწებით გასცილდნენ იქაურობას.

ვინ იყო ის ქალი — მათი მასწავლებელი თუ ლექტორი?

პასუხი: ბილეთების კონტროლიორი.

— „ —

ორმოციოდე წლის ჰერკულეს ბაძაღუამ ერთ წელიწადში გამოიცვალა ორი ტექნიკუმი, ერთი დაუსწრებელი და სამი საღამოს დასწრებული ინსტიტუტი.

სად მუშაობს ბაძაღუა?

პასუხი: არსად. მამამისი მუშაობს.

გაჭყიდველ ამბოკაძეს დააკლდა ოცდახუთი მანეთი, რისთვისაც იგი შეამოწმა სამმა ინსპექტორმა, ხუთმა საზოგადოებრივმა კონტროლიორმა, ორმა რევიზორმა, სულ — ათმა კაცმა.

დაიფარა დანაკლისი?

პასუხი: არა. დანაკლისი 10-ჯერ გაიზარდა.

— „ —

„ვოლგა“ საათში გადის 140 კმ-ს. ცხაკაიადან ფოთამდე 30 კმ-ის გავლას კი 3 სათზე მეტს უნდება.

რატომ?

პასუხი: სხვა გზა არ არის.

ვ. კახელიშვილი.

## ბიანკის რიტორიკა-ჯოთიკა

### ლექსიკონი

Выгрузил — თქვენ ქართველი ხართ?
Смелые люди — ლუდის მსმელები
Кулисы — მელოტი კუ
Помилован — გასაპნული
Наука — პატარა ნავი
Коньяк — კვიცი
Конёк — კონიაკი
Стрелочник — მსროლელი
Мул — მული
Провокация — კაციას უფლება
Выигриш — თქვენ და გრიშა
Бойкот — კატების ომი



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ხომ გეუბნებოდი, სხვის საკინძს ხელს ნუ ახლებ-მეთქი! აი, სად ამოჭუავი თავი?!

ნახ. გ. ლომბიძისა



თვითმკვლელობა.

არ გვაქვს სინათლე. წაგვიღეს
ტელევიზორზე ფიქრებმა...
ჩვენი სოფლის გზა არ ვარგა,
სხვა გზა გვასწავლოთ, იქნება.
მდგომარეობის მაგივრად
თავმჯდომარეებს გვიცვლიან,
გაგეხარდება, ისეთი
დაპირებები იციან.

**გურამ გიორგაძე,**
**ვანის რაიონის სოფ. ყუმური.**

### ნიანგი

გულს ნუ გაიტეხთ! (თუმცაღა
უსინათლობა ძნელია).
ალბათ, თავ-რეთა ამდენ ცვლას,
მოჰყვება ცვლადი დენია.

* * *

ხეირიანი „ვარძიას“
არც ხორცი აქვს და არც რძე აქვს.

**აბასთუმნის სანატორიუმ „ვარძიის“ დამსვენებლები.**

### ნიანგი

მოიპატიჟეთ უფროსი
სადილზე, ანდა ვახშამზე,
მერე კისერში ჩაასხით,
უარი თუ თქვას მაგ შხამზე!

* * *

...მართალი კითხრათ, ჩვენც
გვიკვირს,
ამდენხანს როგორ გავძელით:
ხიდები არ გვაქვს, გზა არ გვაქვს,
წყალი არა გვაქვს სასმელი.
საავადმყოფო გვენგრევა,
კლუბი რომ ნახო, იტირებ!
ეს ჩვენი თავკაცობა კი
თავს არაფერზე იტკივებს.

**სერაპიონ სანიკიძე,**
**სამტრედიის რაიონის სოფელი ოფეთი.**

### ნიანგი

თუ ერთი ხეირიანი
თოფი მაინც გაქვთ ოფეთში,
(თუ არც ესა გაქვთ, ითხოვეთ
სადმე, მეზობელ სოფელში),
მარილით კარგად გატენეთ,
(ვერვინ დაგძრახავთ მაგაზე),
თქვენ იცით, ბოლს სად გაადენთ
სოფლის უთავო თავკაცებს.

* * *

ხან ჩაგვირთავენ ელექტრონს,
ხან კიდევ გამოგვირთავენ;
არაფერი არ გამოდის,
„თელასთანაც“ კი ვიდავეთ!

**ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩის მცხოვრებლები.**

### ნიანგი

დამნაშავესთან მიბრძანდით,
(ვინც არის, თვით დაადგინეთ!)
ხევძმარელები თუ გქვიათ,
ცხვირიდან ძმარი ადინეთ!

* * *

სახლის შენებას შავუდექ,
ფიცარს დავადე ფიცარი.
საქმე კრამიტზე რომ მიდგა.
შიბნ გავიარნე კლდისანი.
მეტეხის აგურ-კრამიტის
ქარხანა შემწედ ვიცანი...
კრამიტ ეზოში დავაწყვე,
სანამ სახლს გადავხურავდი,
სულ მალე გადამეშალა
თვალწინ ასეთი სურათი:
ორი ათასი ცალიდან,
ექვსასი იყო დაშლილი,
ძარღვებში სისხლი გამიშრა,
დავიწვი, როგორც ნახშირი.
ქარხნის დირექტორს მივმართე,
(იქვე დამეცა დამბლაო).
მითხრა: ცის ქვეშ რომ აწყობდი.
შენ რა გეგონა, აბაო?
შინ კომისიაც მეწვია,
მითხრეს: ეს ხშირად ხდებაო,
რაც დაგრჩა, იმით დაჰხურე,
ვფიქრობთ, არ დაიშლებაო.
მეც ავდექი და დავჰხურე,
კრამიტი კრამიტს ჩავჰკირე...
ი კომისიის ფიცი მწამს,
კრამიტის შლა კი მაკვირვებს!

**ილო მელაძე,**
**დუშეთის რაიონის სოფელი საკრამული.**

### ნიანგი

ძვირფასო ილო მელაძევ,
სამძიმარს გეტყვით ჭირისა.
იქნება, ის დირექტორი
შენზე მწარედ სტირისა?
მიდი და დააშოშმინე,
იხმარე ჯადო-თილისმა.
უთხარი: „დაშლა მაელის
სახურავს ყველა ბინისა,
კრამიტი თიხისა იყო,
ხომ არ ყოფილა რკინისა?“

## ოქროს წვიმა საქართველოში

როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს!.. ეს ამბავი ბოლოს კი—პირიქით: როგორც წვიმს, ისე არა ქუხს! ეს მაუროდ მოვიდა ოქროს მედლების შხაპუნა წვიმა. აგერ მერამდენე დღეა გადაუღებელი თავსხმაა. ამინდის ბიუროს პროგნოზით კი კვლავ ოქროს წვიმაა მოსალოდნელი. ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ თხოვა მთავარ სინოპტიკოს ამხ. შ. პ. შაქარიშვილს: შენ პირს შაქარი, შაქარიშვილო, ორიოდე სიტყვით გვიამბე ამ ოქროს წვიმის შესახებო.

...ამასწინათ მტკვრისა და რიონის ხეობებში ამოვარდა უზომო ძლიერამდე ქარი (თბილისის დინამოელებმა და ქუთაისის ტორპედოელებმა კინაღამ ამ ქარს გაატანეს შარშან მამასისხლად მოპოვებული წარმატება), რასაც დაბლობ რაიონებში მოჰყვა ურუანტელის მოგვრამდე ცივი ნაკადის შემოჭრა, სპორტულ ბაზებზე და სტადიონებზე მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა ელჭექით და თავზე მეხის დაცემით.

აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში საგრძნობლად დათბა. ჩვენს რესპუბლიკაზე გადაიარა ბედნიერმა ციკლონმა და შეეჯახა შრომით მოწეული ბარაქიანი ქართული შემოდგომის ულრუბლო ცას. თბილი ნაკადის ცივთან უეცრად შეჯახებამ გამოიწვია ოქროს წვიმა: თბილისში, ყურძნის, შამპანური ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსზე ოქროს მედლების სეტყვა მოვიდა; მოსკოვში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საკავშირო დათვალიერება-კონკურსზე ქართულმა პურ-მარილმა მიიღო დიდი მედალი; ბუქარესტში მეფუტკრეობის მეოცე საერთაშორისო-საიუბილეო კონგრესზე ქართულმა ფუტკარმა „მოთაფლა“ ყიური და მთავარი პრიზით—დიდი ოქროს მედლით დაგვატკბო; სპორტის სასახლეში ქართველმა ფალავნებმა — 19 წლის პირველთანრიგოსანმა ტ. ალიბეგაშვილმა, ს. ქარსაულიძემ, გ. სადარაძემ და შ. ლომიძემ ოქროს მოსავალი აიღეს, სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ; ერევნიდან ოქროს მედალი წამოიღო ზარიბეგ ბერიაშვილმა; თბილისელი ბორის პოლულიახი წყალში გადახტა და იქიდან ამოიღო ოქროს მედალი; ოქროს მაძიებელი თბილისელი ომარ ფხაკაძე თავისი ველოსიპედით დიდ ჯილდოს ესპანეთშიც კი გამოეკიდა. ქალაქ სან-სებასტიანში უძლიერეს იტალიელ ველომბრბოლს ტურინს ორთაბრძოლისას გადაულაპარაკა: ამ სიშორიდან ჩამოსულ კაცს არ დამიწყო ახლა იტალიურრიო!.. და მსოფლიო ჩემპიონობა წაართვა.

ეწვიმოს, ეწვიმოს, სულ ჩვენკენ ეწვიმოს! ასე თუ გაგრძელდა, „დასველება“ არ აგვცდება.

ნახ. ჯ. ლოლუასი

.პასუხმა ააფეთქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი



უტექსტო ხუმრობა

# ათი მცნება

1. უფროსს თუ რკინის გული აქვს, გულის ჯიბით მაგნიტი ატარე.
2. მარცხენა ყბაში რომ მოგარტყან, მარჯვენაც მიუშვირე. ეს საჭიროა სიმეტრიისათვის.
3. ტროლეიბუსში უფრო ხშირად ამოისუნთქე, ვიდრე ჩაისუნთქავ. ამას მოითხოვს პირადი ჰიგიენა.
4. სტუმარს ისე დახვდი, თავი საკუთარ სახლში ეგონოს. მოწყინდება, მეორედ აღარ მოვა.
5. ცოლს მეტწილად ტელეფონით ელაპარაკე, ზოგ რამეს მაინც აიცდენ.
6. ლექსების კითხვისას იფიქრე: ვინ შეიძლებოდა გამოსულიყო მისი ავტორი.
7. თავის ტკივილზე ექიმს არ მიმართო. აუტკივარი თავი არ აიტკივო.
8. მტერს ტყვიას თუ ვერ მოარტყამ, სიტყვა ესროლე. არ აცდება.
9. თუ ტყუილზე დაგიჭირეს, არ თქვა: „ტყუილად“ დამიჭირესო.
10. ისეთ ადგილზე ნუ დაჯდები, მალე აგაყენონ, ისეთ ადგილზე ნუ დადგები, მალე „დაგაჯინონ“.

**ჩარლი**

# მინიატურები

— სულითა და გულით გიახლებით თქვენს სადღეგრძელოს! თქვენ შესანიშნავი, დიდებული ქართველი ბრძანდებით! თქვენ უაღრესად ნიჭიერი, საქმიანი, ჭირში და ლხინში გამოსადეგი, ერთი სიტყვით, ნამდვილი კაცური კაცი ხართ! ნამდვილად ღირსი ხართ დღეგრძელობისა და ღირსეულად გაგიმარჯოთ, თქვენ ჩემო... შენ ჩემო... ჩემო... ჩვენო... შენო... ბოდიში, სახელი და გვარი მაჩუქეთ!

— : —

— კბილის ჯაგრისი გაქვთ?
— ინებეთ!
— თმის გასამაგრებელი წამალიც გექნებათ!
— რისთვის გინდათ?
— კბილის ჯაგრისს უნდა წავუსვა, რომ არ გაცვივდეს.

**დ. ჩაკვეტაძე**

№ 663
29/IX

# „მტყუანი“ ტიპები

გამფლანგველს ტყავი გააძრო.
უთხრეს: „მოეშვი, მაგასო!“
ქურდს ქურდობაზე წაასწრო.
უთხრეს: „ეგ რომ ქურდს არ
ჰგავსო?“
ენატანია გაჰკიცხა,
უთხრეს: „რას ერჩი კარგ
კაცსო!“
მლიქვნელი რომ დაამიწა,
უთხრეს: „რატომ სტეხ
განგაშსო!“
ტერენტი განა გაბრაზდა,
მტყუანი ვარო, დარწმუნდა,
ცოტათი კიდეც „დაბრმავდა“.
ცოტათი კიდეც „დაყრუვდა“.

**დ. იმედაძე**

# ქარაგმები

□ სიმდიდრემ ძმები გაყო, სიღარიბემ — გასაყოფი რა გვაქვსო.

□ ტანმორჩილ დახლიდარზე თქვეს — რაც დახლზემოთ არის, სამი იმდენი დახლქვეშაათ.

□ ქურდმა მონტიორს თხოვა: ბნელი ღამე მინდაო.

□ სოფელზე რომანის სიუჟეტს ვეძებო! უთხრეს — ამ ქალაქში რას იშოვნიო?

**გ. ნ.**

ნახ. ვ. ჭუმბურიძისა



— ბზა, შე ძუძუმწოვარავ!

რედაქტორი **ნ. დუმბაძე** სარედაქციო კოლეგია: **ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.**

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

**რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78**

ხელმოწ. დასაბ. 17/IX-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3077 უე 01764 ტირაჟი 40000

65-663

ИНДЕКС 76317

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ფირცხალავასი

საშემოდგომო „თესვა“.